ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2017 წლის 20 ივლისი

ქ. ზესტაფონი

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება/დამატება ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, 01/03/2013 წ., სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.127.016083) მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2**

1. ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდევინება განისაზღვროს №1 და №2 დანართების მიხედვით დამტკიცებული ინსტრუქციით.

2. „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მაღრაძე**